

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2019	2018
ამონაგები	შენ.#1	4 115 296	3 766 351
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	შენ.#2	(3 365 411)	(3 140 561)
საერთო მოგება	შენ.#3	749 885	625 790
ადმინისტრაციული ხარჯები	შენ.#4	(147 804)	(210 876)
ძირითადი ხარჯები	შენ.#5	(490 213)	(290 986)
საოპერაციო მოგება		111 868	123 928
მოგება დაბეგვრამდე		111 868	123 928
მოგების გადასახადის ხარჯი		(16 780)	0
მიმდინარე წლის მოგება	შენ.#6	95 088	123 928
გაუნაწილებელი მოგება წლის		174 657	218 097
დასაწყისში			
დივიდენდები		(85 895)	(167 368)
გაუნაწილებელი მოგება წლის			
ბოლოს	შენ.#7	183 850	174 657

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2019	2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	შენ.#8	86 237	110 395
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	შენ.#9	195 071	151 826
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	შენ.#10	99 763	53 291
სხვა მიმდინარე აქტივები	შენ.#11	20 900	8 894
		401 971	324 406
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		71 313	73 611
არამატერიალური აქტივები		947	1 101
	შენ.#12	72 260	74 712
სულ აქტივები		474 231	399 118
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	შენ.#13	272 722	221 804
შრომის ანაზღაურება		0	2 657
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	შენ.#14	17 659	0
		290 381	224 461
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	შენ.#15	183 850	174 657
		183 850	174 657
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		474 231	399 118

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	4 812 805	4 403 053
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9 897	0
გაწეული ხარჯები	(4 840 322)	(4 510 562)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(6 538)	
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(24 158)	(107 509)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის	110 395	217 904
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	86 237	110 395

შენ. #16

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის .

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“ (ს/ნ 212920892) დაფუძნებულია 2010 წელს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უაღკოპოლო სასმელებზე საბითუმო ვაჭრობა. დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი ზ.გამსახურდიას ქ.60. კომპანიის დამფუძნებლები არიან:

- ნინო ბერიძე (პ/ნ-60003006406) - საქართველოს მოქალაქე
- თამაზი გუგუშვილი (პ/ნ 60001038305) - საქართველოს მოქალაქე
- მამუკა ვაშაკიძე (პ/ნ-60002007692) - საქართველოს მოქალაქე
- პაატა გელაშვილი (პ/ნ-60001093551) - საქართველოს მოქალაქე

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისათვის იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 33 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხოვრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება

და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება .

4.2 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4.3 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის. გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება „პირველი შ მეთოდი“.

4.4 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.5 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შემენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 10-დან 12 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

1. სარტანსპორტო საშუალებები 10-12
2. კომპიუტერული ტექნიკა 10

4.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

4.7 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.8 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

4.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. საქმიანობის შედეგები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

#	დასახელება	2019
1	პროდუქციის გაყიდვა	4 079 408
2	მომსახურების გაწევა	35 888
	სულ ამონაგები:	4 115 296

პროდუქციის გაყიდვა მოიცავს მხოლოდ ძირითადი პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 4079408 ლარს, ხოლო მომსახურების გაწევა ხორციელდება კომპანიებთან და ამონაგები შესაბამისად შეადგენს 35888 ლარს. სულ 2019 წლის ამონაგებმა შეადგინა 4115296 ლარი. (შენიშვნა #1)

#	დასახელება	2019
1	საწყისი პროდუქციის მარაგები	53 291
2	მარაგების შესყიდვა	3 411 883
3	გადამუშავების დანახარჯი	3 365 411
4	საბოლოო მარაგები	99 763

საწყისი მარაგები 53291 ლარი მოიცავს მხოლოდ ძირითადი პროდუქციის ნაშთს, შესყიდული მარაგები ძირითად პროდუქციაზე არის 3411883 ლარი, გადამუშავების დანახარჯი ძირითად პროდუქციაზე არის 3365411 ლარი და საბოლოოდ წლის ბოლოსთვის პროდუქციის მარაგების ნაშთმა შეადგინა 99763 ლარი. (შენიშვნა #2)

#	დასახელება	2019
1	სულ ამონაგები	4 115 296
2	პროდუქციის თვითღირებულება	3 365 411
3	საერთო მოგება	749 885

სულ ამონაგებმა შეადგინა 4115296 ლარი. პროდუქციის თვითღირებულებამ 3365411 ლარი, ხოლო საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 749885 ლარი. (შენიშვნა #3)

#	დასახელება	2019
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	127 500
2	საპენსიო დანარიცხი	1 162
3	საკომუნიკაციო	6 867
4	საკონსულტაციო	4 000
5	დასუფთავების მოსაკრებელი	558
6	საგადასახადო ხარჯი (ქონება)	1 640
7	ცვეთა და ამორტიზაცია	154
8	სხვა საოპერაციო ხარჯი (საკანცელარიო, ბანკის და ა.შ)	5 923
9	სულ საოპერაციო ხარჯი	147 804

ადმინისტრაციის ხელფასმა შეადგინა 127500 ლარი, საპენსიო დანარიცხმა 1162 ლარი, საკომუნიკაციო 6867 ლარი, საკონსულტაციო მომსახურებამ 4000 ლარი, დასუფთავების მოსაკრებელმა 558 ლარი, ქონების გადასახადის ხარჯმა 1640 ლარი, ცვეთა და ამორტიზაციამ 154 ლარი და სხვა საოპერაციო

ხარჯმა 5923 ლარი. მთლიანმა ადმინისტრაციულმა ხარჯმა შესაბამისად შეადგინა 147 804 ლარი.
(შენიშვნა #4)

#	დასახელება	2019
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	248 120
2	საპენსიო დანარიცხი	3 107
3	მიწოდების	68 525
4	საიჯარო ქირა	50 849
5	საწვავი	110 776
6	ცვეთა და ამორტიზაცია	8 836
7	სულ საოპერაციო ხარჯი	490 213

მუშების ხელფასმა შეადგინა 248120 ლარი, საპენსიო დანარიცხმა 3107 ლარი, მიწოდების ხარჯმა 68525 ლარი, საიჯარო ქირაზე ხარჯმა 50849 ლარი, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იჯარა არის ჩვეულებრივი ანუ მიმდინარე იჯარა და არ არის ფინანსური. საწვავზე ხარჯმა 110 776 ლარი და ცვეთა- ამორტიზაციამ 8836 ლარი. ამრიგად მთლიანმა ძირითადმა დანახარჯმა ჯამში შეადგინა 490213 ლარი.(შენიშვნა #5)

#	დასახელება	2019
1	მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	111 868
2	მოგების გადასახადი	(16 780)
3	მოგება/(ზარალი)	95 088
4	მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	95 088

მთლიანი შემოსავლების და დანახარჯების შეპირისპირებისას მიღებული იქნა მოგება 111868 ლარი, რომელსაც გააკლდება მოგების გადასახადის ხარჯი 16780 ლარი და დარჩება წმინდა მოგების სახით 95088 ლარი, რომელიც საბოლოო ჯამში გადატანილი იქნა 2019 წლის გაუნაწილებელ მოგებაში.
(შენიშვნა #6)

#	დასახელება	2019
1	საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	174 657
2	სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	95 088
3	კაპიტალის სხვა ცვლილებები	(85 895)
4	საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	183 850

საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში იყო 174657 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 95088 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 85895 ლარით და 2019 წლის ბოლოსათვის შეადგინა 183850 ლარი.(შენიშვნა #7)

5.2 ფინანსური მდგომარეობა 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2019
1	ფული სალაროში ლარში	1 621
2	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში ლარში	60 721
3	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	23 895
4	სულ ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები	86 237

ფული და ფულის ელვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში, სალარო მეურნეობაში და ფული გზაში. კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. 2019 წელს უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები განხორციელდა მხოლოდ ერთხელ მომწოდებელს წინასწარ გადაურიცხეს თანხა ავტო მტვირთავის შესაძენად. ხოლო ეროვნულ ვალუტაში ახორციელებდა საბანკო ტრანზაქციებს მუდმივად. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექვივალენტებზე იყო 110395 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 4822702 ლარი, გასულია 4846860 ლარი და ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 86237 ლარი.(შენიშვნა #8)

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 151826 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 4856050 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად 4812805 ლარი და დარჩა მისაღები 195071 ლარი. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს განხორციელდა საექვო მოთხოვნებზე ანარიცხების შექმნა და კორექტირების შეტანა აღარ გახდა საჭირო.(შენიშვნა #9)

მარაგები კომპანიაში მოიცავს ორ კომპონენტს პირველი მზა პროდუქცია და მეორე საწვავ-საცხები მასალები. წლის დასაწყისისთვის ნაშთი 56162 ლარი მთლიანად არის მზა პროდუქციის ნაშთი, წლის განმავლობაში შემოვიდა სულ 3522659 ლარის მარაგი საიდანაც 3411883 ლარის იყო მზა პროდუქცია, ხოლო 110776 ლარის საწვავ-საცხები მასალა, წლის განმავლობაში მთლიანად გავიდა 3476187 ლარის მარაგი, საიდანაც 3365411 ლარის იყო მზა პროდუქცია და 110776 ლარის საწვავ-საცხები მასალა. ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 99763 ლარი.(შენიშვნა #10)

სხვა მიმდინარე აქტივებში ასახული ნაშთი 20900 ლარი არის წინასწარ გადახდილი ავტო მტვირთავის შესაძენად.(შენიშვნა #11)

დასახელება	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	არამატერიალური აქტივი	სულ
ნაშთი 31.12.2018	72 151	1 460	1 101	74 712
შემოსვლა	6 538			6 538
ცვეთა	(8 537)	(299)	(154)	(8 990)
ნაშთი 31.12.2019	70 152	1 161	947	72 260

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ძირითადად სატრანსპორტო საშუალებებით. პარკი მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. ასევე მოძველებულია კომპიუტერული ტექნიკაც. არამატერიალურ აქტივებში აღრიცხულია დისტრიბუციის სამუშაო პროგრამა. სულ ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ნაშთი წლის დასაწყისისთვის იყო 74712 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 6538 ლარის სატრანსპორტო საშუალება, ცვეთამ ჯამურად შეადგინა 8990 ლარი და 2019 წლის ბოლოსათვის ნაშთმა გრძელვადიან აქტივებზე შეადგინა 74712 ლარი.(შენიშვნა #12)

სავაჭრო ვალდებულებები წლის დასაწყისში იყო 221804 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა 4325237 ლარი, გასტუმრებული იქნა 4289249 ლარი, 14930 ლარის განხორციელდა კორექტირება დარიცხვაში და ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 272722 ლარი.(შენიშვნა #13)

ვალდებულებები საგადასახადოს მიმართ წლის დასაწყისში არ იყო და წლის ბოლოსათვის დარჩა 17659 ლარი.(შენიშვნა #14)

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის დასაწყისში იყო 174657 ლარი, წლის განმავლობაში დაემატა მოგების სახით 95088 ლარი, გაიცა დივიდენდები 85895 ლარის და წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 183850 ლარი. (შენიშვნა #15)

5.3 ფულადი სახსრების მოძრაობა 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2018
1	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(17 620)
2	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(6 538)
2	წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(24 158)
3	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	110 395
4	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	86 237

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში იყო 110395 ლარი. წლის განმავლობაში ჯამურად შემოსულია 4822702 ლარი, ხოლო მთლიანად გასულია 4846860 ლარი. წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში შეადგენს (24158) ლარს. ფულის და ფულის ეკვივალენტებმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 86237 ლარი.(შენიშვნა #16)

დირექტორი:

გიორგი გელაშვილი